დამტკიცებულია

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“

რექტორის ლელა ქელბაქიანის

29/11/2019 წლის ბრძანებით №694

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“

იურიდიული კლინიკის

დებულება

ქუთაისი, 2019 წელი

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“

იურიდიული კლინიკის

დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულებით რეგულირებული ურთიერთობები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ იურიდიული კლინიკის (შემდგომში -,,კლინიკა“) სტატუსს, სტრუქტურას, ფუნქციებს, იურიდიული კლინიკის მუშაობის ძირითად პრინციპებს, საქმიანობის მიმართულებებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. იურიდიული კლინიკა არის შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით სტუდენტის/სტაჟიორის პროფესიული პრაქტიკის რეალიზებას, თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას, სტუდენტის/სტაჟიორის მზაობის შემოწმებას დამოუკიდებელი მუშაობისათვის, კლინიკა ორიენტირებულია სტუდენტს, სტაჟიორს გამოუმუშავოს პროფესიული საქმიანობისათვის სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები.

1.3. კლინიკა უფლებამოსილია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სასწავლო კურსის რეალიზებასა და სტუდენტთათვის შესაბამისი პრაქტიკის შეთავაზებამდე განახორციელოს გარეშე პირთა მიღება სტაჟირებაზე, მათ მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცებისა და კლინიკის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

1.4.კლინიკა თავის საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად, ამ დებულების, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

1.5. იურიდიული კლინიკის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“.

1.6.იურიდიული კლინიკა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, არ გააჩნია კანცელარია, ბლანკი და ბეჭედი.

1.7. იურიდიული კლინიკის მისამართია: ქუთაისი, წერეთლის ქუჩა N13, შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“.

მუხლი 2. იურიდიული კლინიკის მიზნები

2.1. იურიდიული კლინიკის ძირითადი მიზანია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტებისა და სტაჟიორებისათვის სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევების სწავლება, გამომუშავება, პრაქტიკაში განხორციელება. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტები სისხლის სამართლის სფეროში სტაჟირებას/პრაქტიკას გაივლიან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთი-ქუთაისის იურიდიულ დახმარების ბიუროში, მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. სისხლის სამართლის მიმართულებით პრაქტიკულ კურსს - როგორც სასწავლო კომპონენტს - ხელმძღვანელობას უწევსა და საქმიანობას წარმართავს თავად სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსის საგნის წამყვანი პედაგოგი.

2.2. იურიდიული კლინიკის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა ფიზიკური, ან იურიდიული პირებისათვის, წარმომადგენლობას იმერეთის მუნიციპალიტეტების მაშტაბით.

მუხლი 3. იურიდიული კლინიკის საქმიანობის პრინციპები

3.1. იურიდიული კლინიკის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- კანონიერება
- კეთილსინდისიერება
- დამოუკიდებლობა
- კონფიდენციალურობა
- ინტერესთა კოფლიქტის დაუშვებლობა
- კოლეგიალურობა

მუხლი 4. კლინიკაში საქმეთა შემოდინების წყარო

4.1. იურიდიულ კლინიკაში მომსახურეობის მიწოდება ხდება შემდეგი წყაროს მეშვეობით: პირადი კომუნიკაცია პოტენციურ კლიენტებთან, სატელეფონო ხაზი, ელექტრონული ფოსტა;

4.2. პარალელურად საქმეთა შემოდინება მოხდება პარტნიორი კომპანიებიდან/ორგანიზაციებიდან, რომლებთანაც შპს „ქუთაისის უნივერსიტეტს“ აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

თავი II

დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

მუხლი 5. იურიდიული კლინიკა

5.1. იურიდიული კლინიკა არის უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურეობას უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ხოლო იურიდიული მომსახურეობას წარმომადგენლობის უფლებით იმერეთის მაშტაბით.

5.2. იურიდიული მომსახურეობა მოიცავს სატელეფონო/პირად კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტის (განცხადება, საჩივარი, შუამდგომლობა, სარჩელი, ხელშეკრულება) მომზადებას, ადმინისტრაციულ ორგანოსა და საერთო სასამართლოში წარმომადგენლობას. იურიდიული მომსახურეობის მიწოდებისათვის საჭირო დოკუმენტაციის/ინფორმაციის შეგროვებას თავად კლიენტი უზრუნველყოფს.

მუხლი 6. იურიდიული კლინიკის კოორდინატორი

6.1. პირი, რომელიც ხელმძღვანელობს იურიდიულ კლინიკას, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფს მის ყოველდღიურ მუშაობას,თანამშრომლობს კლინიკის სტუდენტებთან/სტაჟიორებთან, კლიენტებთან და კლინიკაში მოწვეულ პერსონალთან, ასევე ამზადებს კვარტალურ ანგარიშს კლინიკის საქმიანობის შესახებ.

6.2. იურიდიული კლინიკის კოორდინატორს თანამდებობაზე ნიშნავსა და თანამდებობიდან ათავისუფლებს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორი დეკანის წარდგინებით.

მუხლი 7. იურიდიული კლინიკის პროფესორ-მასწავლებელი

7.1. იურიდიული კლინიკის პროფესორ-მასწავლებელი არის შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის სფეროში მომუშავე პროფესორი, ასოცირებულ პროფესორი, ასისტენტ პროფესორი ან მასწავლებელი. იურიდიული კლინიკის პროფესორ-მასწავლებელი უზრუნველყოფს კლინიკის სტუდენტთა აკადემიურ განათლებას წინასწარ განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 8.იურიდიული კლინიკის პრაქტიკოსი იურისტი

8.1. იურიდიული კლინიკის პრაქტიკოსი იურისტი შეიძლება იყოს ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული, ან უნივერსიტეტის თანამშრომელი პირი, რომელიც თავის პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებს სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით არანაკლებ 4 წელი. კლინიკის პრაქტიკოსი იურისტი ხელმძღვანელობს კლინიკის იურიდიულ საქმიანობას, ეხმარება სტუდენტს/სტაჟიორს კლიენტთან ურთიერთობაში, მათ შორის პირად და სატელეფონო მომსახურებისას.

მუხლი 9.იურიდიული კლინიკის სტუდენტი/სტაჟიორი

9.1. იურიდიული კლინიკის სტუდენტი შეიძლება იყოს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, ან კონკურსის წესით აყვანილი სხვა ნებისმიერი სტაჟიორი, რომელსაც შესწავლილი აქვს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

მუხლი 10.იურიდიული კლინიკის კლიენტი

10.1. იურიდიული კლინიკის კლიენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური, ან იურიდიული პირი, რომელიც სამართლებრივი დახმარებისთვის სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში მიმართავს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ იურიდიულ კლინიკას.

თავიIII

იურიდიული კლინიკის თანამშრომელთა და კლიენტთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი11. იურიდიული კლინიკის კოორდინატორის უფლება-მოვალეობანი

11.1. იურიდიული კლინიკის კოორდინატორი უფლებამოსილია:

ა) წარმართოს იურიდიული კლინიკის საქმიანობა

ბ) უხელმძღვანელოს და გაუძღვეს სამუშაო შეხვედრებს

გ) წარმოადგინოს კლინიკა მემსამე პირებთან ურთიერთობაში

ე) განსაზღვროს ღონისძიებების დეტალური გეგმა და საჭიროებანი;

11.2. იურიდიული კლინიკის კოორდინატორი ვალდებულია:

ა) ორგანიზება გაუწიოს იურიდიული კლინიკის საქმიანობას

ბ) ითანამშრომლოს კლინიკის პროფესორ-მასწავლებლებთან, პრაქტიკოს იურისტთან და სტუდენტებთან

დ) შექმნას იურიდიული კლინიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობები

ე) მოამზადოს სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბროშურები და საინფორმაციო ბუკლეტები

ვ) უზრუნველყოს სხვადასხვა სახის სატელევიზიო, საინფორმაციო კამპანიის წარმართვა კლინიკის ცნობადობის ამაღლების მიზნით

ზ) მოამზადოს კლინიკის სამუშაო გეგმა და ანგარიში

თ) მოამზადოს და უნივერსიტეტს წარუდგინოს კლინიკის საჭიროებათა ხარჯთაღრიცხვა.

ი) უზრუნველყოს იურიდიული კლინიკის ყოველდღიური მუშაობა

მუხლი 12. იურიდიული კლინიკის პროფესორ-მასწავლებლის უფლება-მოვალეობა

12.1. იურიდიული კლინიკის პროფესორ-მასწავლებელი უფლებამოსილია:

ა) სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსის სწავლების ფარგლებში გამოიყენონ იურიდიული კლინიკის ბაზა

გ) ტექნიკური დახმარებისათვის მიმართოს იურიდიული კლინიკის კოორდინატორს

12.2. იურიდიული კლინიკის პროფესორ-მასწავლებელი ვალდებულია:

ა) კლინიკის სტუდენტებს გაუწიოს დახმარება კლინიკის საქმეებთან დაკავშირებით შესაბამისი თეორიული საკითხების დამუშევაბაში

ბ) პერიოდულად ჩაატარონ სემინარები კლინიკის სტუდენტთათვის/სტაჟიორთათვის აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე

მუხლი 13. იურიდიული კლინიკის პრაქტიკოსი იურისტის უფლება-მოვალეობანი

13.1. იურიდიული კლინიკის პრაქტიკოსი იურისტი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს მონაწილეობა სტაჟიორთა შერჩევის კონკურსში

ბ) შეარჩიოს საქმე

გ) მოითხოვოს სტუდენტთა/სტაჟიორთა დასწრება კლიენტთან კომუნიკაციაში

დ) მოსთხოვოს სტუდენტს/სტაჟიორს ანგარიშის წარმოება/წარდგენა

ე) მიმართოს იურიდიიული კლინიკის კოორდინატორს ტექნიკური დახმარებისათვის

13.2. იურიდიული კლინიკის პრაქტიკოსი იურისტი ვალდებულია:

ა) კლინიკის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ან დამოუკიდებლად კვირაში არანაკლებ ორჯერ შეხვდეს სტუდენტებს/სტაჟიორებს საქმეების განხილვის მიზნით

ბ) შეამოწმოს სტუდენტების/სტაჟიორის ანგარიშები

გ) დაეხმაროს, ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტებს/სტაჟიორებს რეალური საქმეების მომზადებასა და წარმართვაში

დ) ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტებს/სტაჟიორებს იურიდიული კონსულტაციის მიწოდებისას

მუხლი 14. იურიდიული კლინიკის სტუდენტის/სტაჟიორის უფლება-მოვალეობა

14.1. იურიდიული კლინიკის სტუდენტს/სტაჟიორს უფლება აქვს:

ა) ჩაერთოს იურიდიული კლინიკის საქმიანობაში მისი კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) მიიღოს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

გ) დახმარებისთვის მიმართოს იურიდიული კლინიკის კოორდინატორს, პრაქტიკოს იურისტს ან პროფესორ-მასწავლებელს.

დ) მონაწილეობა მიიღოს იურიდიული კლინიკის მიერ განხორციელებულ აქტივობებში

14.2. იურიდიული კლინიკის სტუდენტი/სტაჟიორი ვალდებულია:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღოს იურიდიული კლინიკის საქმიანობაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს კლინიკის კოორდინატორთან, პრაქტიკოს იურისტთან და პროფესორ-მასწავლებელთან ერთად კლინიკის სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში;

გ) იურიდიული მომსახურეობა (მათ შორის წარმომადგენლობა)/კონსულტაცია გაუწიოს იურიდიული კლინიკის კლიენტს

დ) ყოველთვიურად მოამზადოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში

ე) მონაწილეობა მიიღოს საქმეთა განხილვებში, იმიტირებულ სასამართლო პროცესებში

ვ) შეასრულოს ამ დებულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებანი.

მუხლი 15. იურიდიული კლინიკის კლიენტის უფლება-მოვალეობა

15.1. იურიდიული კლინიკის კლიენტის უფლებებია:

ა) სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული მომსახურების მისაღებად მიმართოს უნივერსიტეტის იურიდიულ კლინიკას;

ბ) მიიღოს იურიდიული მომსახურეობა უსასყიდლოდ;

გ) ჰქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიძლება საქმის მსვლელობისას განსაკუთრებულ შემთხვევებში მისი საქმე განიხილოს კლინიკის სხვა სტუდენტებმაც;

დ) მიიღოს დასტური იმის შესახებ, რომ ის ინფორმაცია,რომელსაც ის გასცემს დარჩება კონფიდენციალური, როგორც საქმის განხილვის პროცესში,ასევე თანამშრომლობის დასრულების შემდგომაც.

ე) მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლინიკა არ არის ვალდებული გასწიოს მის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო თუ სხვა იურიდიული მომსახურების ხარჯები.

ვ) შეაფასოს იურიდიული კლინიკის სტუდენტის/სტაჟიორის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურეობა

15.2. იურიდიული კლინიკის კლიენტი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს იურიდიული კლინიკის თანამშრომლებს საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა/დოკუმენტაცია და ინფორმაცია დაუფარავად;

ბ) კლინიკის ზედამხედველობით, საქმისათვის საჭირო მტკიცებულებათა/დოკუმენტაციის შეგროვება მოახდინოს პირადად, დამოუკიდებლად

ბ) თავად გასწიოს კლინიკის იურიდიული მომსახურების მიღმა საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სასამართლო და სასამართლოს გარეშე სხვა სარჯები.

თავი IV

იურიდიული კლინიკის ძირითადი საქმიანობა

მუხლი 16. იურიდიული კლინიკის საქმიანობის ძირითადი აქტივობები

16.1. იურიდიულ კლინიკაში მიმდინარე ძირითადი საქმიანობა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

ა) სწავლება, რომელიც ორიენტირებული იქნება კლინიკის სტუდენტთა/სტაჟიორთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე;

ბ) სტუდენტთა/სტაჟიორთა უშუალო ჩართვა რეალური საქმეების წარმოებაში და რეალურ კლიენტებთან ურთიერთობაში;

გ) იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზება, ჩატარება, პროცესის შედეგების განხილვა;

დ) სასამართლო პროცესებზე სტუდენტების/სტაჟიორების დასწრების ორგანიზება;

ე) პრაქტიკოსი იურისტის ხელმძღვანელობით უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა (სხვადასხვა ტიპის დოკუმენტის მომზადება: ხელშეკრულებათა პროექტების მომზადება, სარჩელებისა და შესაგებლების შედგენა სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე, განცხადების, შუამდგომლობის, საჩივრის და სხვ.); ამ მიზნით:

- თითოეულ კლიენტზე იხსნება საქმე;
- სტუდენტები/სტაჟიორები ერთად ადგენენ განცხადებებს, სასარჩელო, სააპელაციო, საკასაციო საჩივრებს, შესაგებლებს სასარჩელო, სააპელაციო, საკასაციო საჩივრებზე

და სხვა პროცესუალურ (სამართლებრივ) დოკუმენტებს;

- სწავლობენ საქმის მასალებს;
- მონაწილეობას იღებენ სასამართლო პროცესებში, როგორც პრაქტიკოსი იურისტის ზედამხედველობით და ხელს უწყობენ მარწმუნებლის ინტერესების დაცვას.
- კლიენტთან კონსულტაცია - ინტერვიუები;
- სასამართლო პრაქტიკის ანალიზი;
- კლიენტების დაცვა ადმინისტრაციული წარმომადგენლობის განხორციელებით.

16.2. სამართლებრივი ცნობიერების და კლინიკის ცნობადობის ამაღლების მიზნით იურიდიული კლინიკა სტუდენტთა/სტაჟიორთა დახმარებით, აგრეთვე ახორციელებს სხვადასხვა სახის სამართლის პრაქტიკულ სემინარებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთათვის.

16.3. იურიდიული კლინიკის სტუდენტებს/სტაჟიორებს პერიოდულად კლინიკის პრაქტიკოსი იურისტისა და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ უტარდებათ ტრენინგ-სემინარები აქტუალურ სამართლებრივ საკითხებსა და მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე.

მუხლი 17. კლინიკაში საქმის წარმოების წესი

17.1. იურიდიულ კლინიკაში სტუდენტები/სტაჟიორები კლინიკის პრაქტიკოსი იურისტის დახმარებით მიიღებენ საქმეებს და დაინტერესებულ პირებს გაუწევენ სათანადო სამართლებრივ დახმარებას, რა დროსაც ყოველ კლიენტზე იხსნება საქმე, რომელშიც შედის:

- კლიენტის საანკეტო მონაცემები;
- პრობლემის არსი, მიღებული ზომები და შედეგები;
- ინფორმაცია გაწეული და გასაწევი მომსახურების შესახებ;
- მტკიცებულებები და პროცესუალური დოკუმენტების ასლები;
- რა შედეგით დასრულდა საქმე, თუ ამ კონკრეტულ საქმეზე უკვე დადგა სამართლებრივი შედეგები;
- საქმესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

17.2 იურიდიული კლინიკის მომსახურებით დაინტერესებულ კლიენტთა, მათი საქმეების და სხვა დატვირთვის გადანაწილება კლინიკის სტუდენტებს/სტაჟიორებს შორის ხორციელდება პრაქტიკოსი იურისტის მიერ.

17.3 იურიდიული კლინიკის მომსახურეობის მისაღებად კლიენტმა უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები:

- კლინიკასთან პირველადი კონტაქტი (პირადი, სატელეფონო ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით);
- ინტერვიუ კლინიკის პრაქტიკოსი იურისტის წინასწარი თანხმობითა და

ხელმძღვანელობით;

- სარეკომენდაციო დასკვნის გაცემა;
- კლიენტის მიერ კლინიკაში წარმოდგენილი დედანი დოკუმენტების დაბრუნება;
- საქმის დახურვა.

17.4 კლინიკის თითოეულ კლიენტზე, იხსნება საქმე შესაბამისი საიდენტიფიკაციო მონაცემებით. კლინიკაში იწარმოებს საქმეთა რეესტრი.

მუხლი 18. იურიდიული კლინიკის სამუშაო დრო

18.1. იურიდიული კლინიკის სამუშაო პერიოდი ემთხვევა უნივერსიტეტის სასწავლო სემესტრს. სამუშაო დრო განისაზღვრება დილის 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე.

მუხლი 19. იურიდიული კლინიკის სტუდენტების შერჩევის წესი

19.1. იურიდიული კლინიკაში სტაჟირების პერიოდი მოიცავს 3 (სამ) თვეს.

19.2. იურიდიულ კლინიკაში სტუტენტთა/სტაჟიორთა შერჩევა მოხდება კონკურსის წერით - წერითი დავალება, გასაუბრება, შესარჩევი წერითი დავალება მზადდება კლინიკის პრაქტიკოსი იურისტის მიერ.

19.3. იურიდიულ კლინიკაში სტაჟირების/პრაქტიკის ერთი კურსის გავლის მსურველთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 12 სტუდენტს.

19.4. იურიდიულ კლინიკაში სტაჟირების/პრაქტიკის კურსის წარმატებით გავლა მის მიერ კლინიკაში გატარებული საათების და შესრულებული სამუშაოს მიხედვით ფასდება, რაც დამოკიდებული კლინიკის კლიენტისა და პრაქტიკოსი იურისტის შეფასებაზე; წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

მუხლი 19. იურიდიული კლინიკის ზოგადი ეთიკის შესახებ

19.1. იურიდიულ კლინიკაში დასაქმებული ყველა პირი ვალდებულია დაიცვას ზოგადი ეთიკის ნორმები

19.2. კლინიკის ყველა თანამშრომელი ვალდებულია იცავდეს კლინიკის იმიჯს ,იზრუნოს კლინიკის განვითარებაში წვლილის შესატანად და მოქმედებდეს მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით;

19.3. კლინიკის თითოეულ საქმეზე მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გაცემა აკრძალულია განუსაზღვრელი ვადით.

19.4. კლინიკის ყველა თანამშრომელი და წევრი ვალდებულია მასზე ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს პირნათლად.

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 20. დებულების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის საკითხები

20.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.

20.2. დებულების შემადგენელი ნაწილია დანართები, რომელიც დაკავშირებულია კლინიკის პრაქტიკულ საქმიანობასთან (დანართი №1,2,3,4,5,6,7).

20.2. დებულების ცვლილებებს ამზადებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კლინიკის კოორდინატორისა და კლინიკის პრაქტიკოსი იურისიტის ჩართულობით, ცვლილებათა პაკეტი დასამტკიცებლად წარედგინება შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორს.